

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი №01-06/25

დაბა ქედა,

28 დეკემბერი, 2022 წელი

სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე;
სხდომა დამთავრდა: 16:35 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 21.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

ვაჟა აბულაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;

ამირან წულუკიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;

ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

მერაბ ნაკაშიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;

ლევან ვერძაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარე;

ლევან ბერიძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;

მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე;

გოჩა გორგილაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე;

დავით სირაბიძე - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე;

ირაკლი მახარაძე - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარის მოადგილე;

მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი;

შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;

ჯიმშერ სამნიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე;

მარინა ბარამიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე;

მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;

გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი;

ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:











მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;

ჰამიდა ზოიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/25 რიგგარეშე სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

28 დეკემბერი, 2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღერტვი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

დღის წესრიგის დამტკიცებამდე განცხადება გააკეთა საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ. პირველ რიგში მიესალამა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და მიულოცა დამდეგი შობა ახალი წელი და წარმატებები უსურვა. შემდეგ აღნიშნა, რომ ყველა ბიუჯეტის ცვლილების დროს, რადგანაც მოსახლეობაში ძალიან ბევრი პრობლემა იყო დაგროვილი ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“ მოითხოვდა, მუნიციპალიტეტის მერი ბატონი როლანდ ბერიძე დასწრებოდა სხდომებს და დღეს სასიხარულოა, რომ ბატონმა მერმა იპოვა საკუთარ თავში ძალები და გამოცხადდა საკრებულოს სხდომაზე. დავით სირაბიძის განცხადებით მერმა 2021 წელს მოსახლეობას კონკრეტულ სოფელში წყლის პრობლემის მოგვარებას დაპირდა, წინასაარჩევნოდ ქულები ჩაიწერა და მომავალ წელსაც ეს სოფელი უწყლოდ შეხვდება, ეს არის „პოლიტიკური ფსვერი“. მერობის პირველივე წელს მერი ფიზიკურად ვეღარ შედის კონკრეტულ სოფლებში, ხოლო სოფლიდან ჩამოსულ მოქალაქეებს სუსის და პოლიციის მაღალჩინოსნების თანდასწრებით ესაუბრება. ოპოზიციასთან კი სატელევიზიო სიუჟეტებით კომუნიკაციობს. მუნიციპალურ ორგანიზაციებში სამჯერ ირიცხავენ ადამიანები ხელფასებს, პასუხისმგებლობას კი არავინ იღებს არც საკრებულოს თავმჯდომარე და არც მერი. მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის ხელოვნურადაა გაზრდილი. მუნიციპალიტეტის ყველა დიდი პროექტი განუხორციელებელი დარჩა, ხელშეკრულებები ფორმდება კომპანიებთან (მაგალითად შპს „მთაგორი“) რომლებიც ვერ ასრულებენ სამუშაოებს და შემდეგ ისევ იგებენ ტენდერებს. ბიძინა ივანიშვილები ამ ქვეყანას აქამდეც ბევრი ჰყოლია! საბოლოოდ ბიძინა ივანიშვილები ამ ქვეყნიდან მიდიან, ვინც მზადაა გაპყვეს მას და რუსეთს, "წარმატებებს" ვუსურვებ. "თავისუფლება მიხეილ სააკაშვილს! "ქართული ოცნების" მოშორებით საქართველო მოიპოვებს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს".

დავით სირაბიძემ განაცხადა, რომ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კენჭისყრის პროცესში მონაწილეობას არ მიიღებდა ამიტომ პროტესტის ნიშნად დავით სირაბიძემ, ირაკლი მახარაძემ და შორენა კარანაძემ სხდომა დატოვეს (15:20 სთ).

საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ფრაქცია „ნაციონალურმა მოძრაობა“ ს ჩვევად ექცა შეკითხვების დასმა და სხდომის დატოვება, კარგი იქნებოდა პასუხის გაცემასაც რომ დაესწრებოდნენ.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №01-06/25 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო

სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

2. „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

3. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო წუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული

სამსახურის უფროსი: ბადრი სურმანიძე

თანამომხსენებელი: სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

4. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული

სამსახურის უფროსი: ბადრი სურმანიძე

თანამომხსენებელი: სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

5. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძე

დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ მომხსენებელმა ამირან ცინცაძემ საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ შემოსული იყო კიდევ ერთი საკითხი „ქედის მუნიციპალიტეტის კომუნიკაციის სტრატეგიის, ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და ითხოვა ბიუროზე დამტკიცებულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეეტანათ ცვლილება აღნიშნული საკითხის სხდომაზე განსახილველად, შემდეგ წარმოადგინა N01-06/25 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის განახლებული პროექტი შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო

სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

2. „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო წუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

3. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო წუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20

სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული
სამსახურის უფროსი: ბადრი სურმანიძე
თანამომხსენებელი: სამანფატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

4. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული
სამსახურის უფროსი: ბადრი სურმანიძე
თანამომხსენებელი: სამანფატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

5. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძე

6. ქედის მუნიციპალიტეტის კომუნიკაციის სტრატეგიის, ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტავიძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილ დღის წესრიგს კენჭი უყარა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №01-06/25 რიგგარეშე სხდომის წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
ჯემალ ტავიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: 12-95223437-95, 09.12.2022 წელი) და განმარტა, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2023-2026 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2023 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 10,3 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155¹ მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6¹-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2023 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 10 000 ათას ლარს შეადგენს. 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2023 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 4 278,325 ათასი ლარით (22,53%-ით).

2023 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

➤ დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 14 773 300 ათასი ლარით;

2021 წლის მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 32,82%-ით (3 650.735 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი კვონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს კვონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

➤ ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 400 000 ათას ლარს;

2023 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

➤ გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 6 000,0 ათასი ლარამდე, მათ შორის:

✓ სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები 6 000,0 ათასი ლარი;

✓

➤ შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 240,00 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

✓ პროცენტები 140,00 ათასი ლარი.

✓ რენტა 100,0 ათასი ლარი;

➤ შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 50,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

✓ სანებართვო მოსაკრებლები 10,0 ათასი ლარი;

✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 25,0 ათასი ლარი;

✓ შემოსავლები მომსახურების გაწევიდან 15.0 ათასი ლარი;

➤ შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 29,2 ათასი ლარი;

➤ ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული განსაზღვრულია 100,0 ათასი ლარი;

ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში გენდერული ასპექტების გათვალისწინების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №385 ბრძანებით „პროგრამული ბიუჯეტის შედეგების მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ განსაზღვრულია, რომ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ერთ-ერთი ინდიკატორი შეიძლება იყოს გენდერული, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მეთოდოლოგიის მიხედვით, გენდერული ინდიკატორები შემუშავებული უნდა იყოს პროგრამისა და ქვეპროგრამის საბოლოო და შუალედური შედეგებისთვის.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის მიხედვით, განსაზღვრულია გენდერული ბიუჯეტის შემუშავება და პროგრამებისა და პროექტების დაგეგმარებისა და განხორციელების დროს ქალებისა და კაცების, გოგონებისა და ბიჭების საჭიროების გათვალისწინებით.

ამდენად, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, 2023 წელს მუნიციპალიტეტის ფინანსური დოკუმენტების შემუშავების დროს, 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტსა და 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული იქნა გენდერული ასპექტები.

ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 1 მარტის ბრძანების შესაბამისად შექმნილი პრიორიტეტების დოკუმენტის სამუშაო ჯგუფის ჩართულობით შეირჩა პროგრამები და ქვეპროგრამები, რომელიც გენდერული ანალიზიც ჩატარდა მუნიციპალიტეტის მერიის დარგობრივი სამსახურებისა და პროგრამების განმახორციელებელი ა(ა)იპ-ების მიერ, GIZ-ის ტექნიკური მხარდაჭერით. გენდერული ანალიზის შედეგების საფუძველზე 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში აღნიშნული პროგრამების/ქვეპროგრამების მოდიფიცირება მოხდა. კერძოდ, შესაბამისი გენდერული პოლიტიკა და მიდგომები ასახულია პროგრამის აღწერისა და შედეგების ნაწილში, ამასთან პროგრამებს/ქვეპროგრამებს აქვთ გენდერული ინდიკატორები.

პროგრამები და ქვეპროგრამები, რომლებშიც გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები:

- პროგრამა - საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (0201); ქვეპროგრამები: გზების რეაბილიტაცია (020101);
- პროგრამა - საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება (0202); წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა (020201);
- პროგრამა - კეთილმოწყობის ღონისძიებები (0203); პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა (020303);
- პროგრამა - სკოლამდელი აღზრდა და განათლება (0401); ა(ა)იპ - ქედის ბაგაზაღების ბალების გაერთიანება (040101);
- პროგრამა - სპორტის განვითარების ხელშეწყობა (0501); ქვეპროგრამა - ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლა (050101);
- პროგრამა - კულტურის განვითარების ხელშეწყობა (0502); ქვეპროგრამა - ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრი (050201); ქედის სახელოვნებო სკოლა (050202);

სამომავლოდ, კვლავ გაგრძელდება მუშაობა გენდერულ ბიუჯეტზე და პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფორმირების დროს გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 23 267,900 ათას ლარს (2022 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 4 278,325 ათასი ლარით).

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

➤ ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება - 6 501,8 ათასი ლარი; მათ შორის:

- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 2 658,500 ათასი ლარი;
განხორციელება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია:
- შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია;
- სოფელ ქვედა აქუცისა და სოფელ ვაიოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- ავტობუსის შესყიდვა;

- მთებზე მოიალადეთა ტრანსპორტირება;
- ბურღვა აფეთქება.
- დაბა ქედის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

✓ საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება 1 395,0 ათასი ლარი,

განხორციელედება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია:

• დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში ორცვასა და არსენაულში სასმელი წყლის სისტემების (შიგა გამანაწილებელი ქსელის, სანიტარული დაცვის ღობის) რეაბილიტაცია;

- შპს ქედის წყალკანალი სუბსიდირება;

მუნიციპალური მომსახურეობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში სუბსიდირება გაეწევა შპს ქედის წყალკანალს, რომელიც უზრუნველყოფს დაბისა და სოფლების წყალსადენების სათავე-ნაგებობების და მაგისტრალური ქსელის მოვლა-შენახვას, ქლორინებასა და ფილტრაციას და საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოვლა-შენახვა.

✓ მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები - 2 365,800 ათასი ლარი;

განხორციელედება შემდეგი ღონისძიებები:

• ბინათმესაკუთრება ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

- დაბა ქედაში მრავალფუნქციური შენონის მშენებლობა;

- სოციალური სახლის მშენებლობა

• ქედის მუნიციპალიტეტის ცენტრში, ფრიდონ ხალვაშის სახელობის სკვერში ხანდაზმულთათვის განკუთვნილი დასასვენებელი სივრცის მოწყობა;

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება;

- დაბა ქედაში აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული კედლის მოპირკეთება;

- დაბა ქედაში რუსთაველის ქ. № 13 და № 15-ს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

✓ მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები - 305,0 ათასი ლარი;

განხორციელედება შემდეგი ღონისძიებები:

• მირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა- ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები;

• პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემენა;

• მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.

✓ სოფლის მეურნეობის ხელშეყყობა - 13,0 ათასი ლარი;

განხორციელედება შემდეგი ღონისძიებები:

• აგრო-სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი და საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობა;

• მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაციის პროგრამა;

✓ საცხოვრებელ და არსაცხოვრებელი შენობა-წაგებობებში ელექტრომეურნეობის აღდგენა 15,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ 2019-2022 წლებში ახლადაშენებული შენობების ელექტრომეურნეობის გამართვისათვის საჭიროა სს ენერგო პრო-ჯორჯიასთან ხელშეკრულების გაფორმება, შესაბამისი ხარჯების გადახდა და მათი გამრიცხველიანება. ასევე, სოფლის საერთო სარგებლობის წისქვილები, რომლებიც აშენებულია ბიუჯეტის ხარჯებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, საჭიროა ელექტრომეურნეობის ქსელში ჩართვა და სათანადო ფინანსირება. მუნიციპალიტეტის კუთვნილ ზოგიერთ შენობებში დაზიანებულია ელექტრომრიცხველები და საჭიროა ახლით შეცვლა.

✓ „შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი 418,200 ათასი ლარი.

„შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“ 2020 წლის 5 მარტს შეიქმნა.

ორგანიზაციის დამფუძნებელია ქედის მუნიციპალიტეტის მერია და მის 100% წილს ფლობს. ძირითად საქმიანობებს წარმოადგენს:

ა) ტურისტული ობიექტების მოვლა შენახვა;

ბ) ტურისტული სერვისების შექმნა და განვითარება;

გ) გადასახადების ამოღება;

დ) ქედის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის შესწავლა და შესაბამისი სტრატეგიული გეგმის შექმნა;

დ) მუნიციპალიტეტი მოქმედ კვების თუ განთავსების ობიექტებზე დახმარება, როგორც ბიზნესის მართვის მხრივ ასევე რჩევების და რეკომენდაციების მიცემა

ე) მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის პიარი.

ვ) ქედის მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ბიზნეს სუბიექტების პიარში მხარდაჭერა.

ზ) პროექტი „კარვების ქალაქი“ მართვა და განვითარება

თ) პროექტი „ციფრული წიგნიერების ცენტრი“ მართვა და განვითარება

ორგანიზაციამ 2021-22 წელს შეისწავლა მუნიციპალიტეტის ტერიოტირაზე ათეულობით ტურისტული ობიექტი, ასევე ობიექტები, რომელიც სამომავლოდ შესაძლოა გახდეს ახალი ტურისტული ლოკაცია. შესწავლის შემდეგ მოხდა ანალიზი და ჩამოყალიბდა პრიორიტეტული ღონისმიერები, რომელიც გათვალისწინებული იქნება 2023 წლის ტურისტულ ბიუჯეტში. აქედან გამომდინარე, „შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“ ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნეს განვითარებაში და მათი საჭიროებისამებრ შექმნას ის ინფრასტრუქტურული გარემო რომელიც დაეხმარება ბიზნეს. ორგანიზაციის მიზანია ადვოკატირების და ლობირების განხორციელება ბიზნესითვის სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებთან, სამინისტროებთან და მათ საქვეუწყებო დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ამ პერიოდის მანძილზე „შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრმა“, მოაწყო 4 ინფო-ტური მუნიციპალიტეტის მაშტაბით და განახორციელა 2 მედია ტური. 2022 წლის ნოემბერში ორგანიზაციამ ჩატარა ღვინის ფესტივალი. მოქალაქეების გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ფესტივალი იყო ყველაზე ინოვაციური და კარგად ორგანიზაციებული ფესტივალებს შორის რაც აქამდე ჩატარებულა. კავშირები დაამყარა შემდეგ ორგიზაციებთან, როგორებიცაა: არასამთავრობო ორგანიზაცია სენი, ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG), აჭარის ტურიზმის და კურორტების დეპარტამეტი, ა/ო GIZ, ევროკავშირის ინიციატივა მერები ეკონომიკური ზრდისთვის და სხვადასხვა სამსახურებთან, რომელიც ჩართულნი არიან მუნიციპალიტეტში ტურისტული ინდუსტრიის განვითარების მიმართულებით. პროექტი:

ურთიერთთანამშრომლობა სოფლის მდგრადი განვითარებისთვის. განმახორციელებელი: ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერა ქსელისა და კავშირების განვითარებით, რაც მიზნად ისახავს თემის გაძლიერებას და ადგილობრივი პროდუქტების და სერვისების მარკეტინგს როგორც ქედის მუნიციპალიტეტში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. აღნიშულ პროექტში „შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“ წარმოადგენს პარტნიორ ორგანიზაციას. პროექტის ფარგლებში ორგანიზაციამ განათავსა ერთი სენსორული მონიტორი სოფელ ვაიოში და ადმინისტრირებას უწევს პლატფორმას www.smartkeda.ge. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების პროგრამა. - უკეთესი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის და ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, ქედაში ციფრული წიგნიერების ცენტრი ამოქმედა. აღნიშნულ ცენტრში წარმოადგენელია ყველა საჭირო თანამედროვე ტიპის ინვენტარი, რომელზეც წვდომა ექნება ქედის მუნიციპალიტეტის და მეზობელი მუნიციპალიტეტების მსოახლეობას, ასევე უცხოელ თუ შიდა ტურიზმის წარმომადგნლებს. აღნიშნულ ცენტრს მართვას უწევს. „შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“, „კარვების ქალაქში“ ზღვის დონიდან 1000 მეტრზე მდებარე ორცვის მთაზე ერთ, ორ და სამადგილიანი კარვები განთავსდა, პროექტის მიხედვით მეოწყო საშხაპეების, ბიოსაპირფარეშოების, სამზარეულოსა და საკონფერენციო დარბაზი. კარვები ყოველდღიური საჭიროების ინვენტარით აღიჭურვა. პროექტი არის ენერგოეფექტური, წარმოადგენელია სამზარეულოთი და შეხვედრების დარბაზით. შესაძლებელია ერთდროულად 110 ვიზიტორის მიღება. პროექტს მართავს „შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი. ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG) ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება სოფლის განვითარებისათვის (ქედა ლიდერი)“ პროექტის მიზანია ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიკაცია, ინვესტიციების მოზიდვა და კონკურენტული სასოფლო-სამეურნეო და გარემოსდაცვითი პრაქტიკის ხელშეწყობა სოფლის განვითარების თანამონაწილეობრივი, სტრატეგიული დაგეგმვის გზით. პროექტის ამოცანაა ქედის მუნიციპალიტეტის განვითარების პოტენციალის გაძლიერება და ადგილობრივი შესაძლებლობებისა და რესურსების ოპტიმალური გამოყენება. აღნიშნულ პროექტში შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრმა გააკეთეა LAG_თან ერთად საგრანტო განაცხადი, რომელმაც ყველა ეტაპი გაიარა და ველოდებით ოფიციალურ პასუხს. პროექტის მიზანი იქნება ქედის მუნიციპალიტეტის რესურსის პოპულარიზაცია სხვადასვება ტიპის აქტივობებით... მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ წარმოადგენს ევროკავშირის ინიციატივას, რომელიც 2016 წლის 26 ოქტომბერს, ქალაქ ერევანში მიმდინარე მაღალი დონის კონფერენციის დროს დაიწყო და მიმართულია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მოქმედ ადგილობრივ ხელისუფლებებზე: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა . "მერები ეკონომიკური ზრდისთვის" მთავარ მისამა მდგრადი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება წარმოადგენს. მისი მიზანია მერებისა და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა ადგილობრივ დონეზე, რათა მათ აქტიურად შეუწყონ ხელი ეკონომიკურ განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რის მიღწევასაც საკუთარი შესაძლებლობების გაფართოებისა და ტექნიკური უნარების განვითარებით და კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის მეშვეობით შეძლებენ. აღნიშნულ პროექტში შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი აქტიურად არის ჩართული. ჩვენი ხშირი კომუნიკაციის საფუძველზე სამდივნო განხილავს ქედაში ღვინის ინდუსტრიის, აგრო ტურიზმის, ეკო ტურიზმის, გასტრონომიული ტურიზმის ექსპერტების დახმარებას აბსოლიტურად უსასყიდლოდ. ასევე მნიშვნელოვანი, რომ აღნიშნულ პროექტში ქედა, შუახევი და ხულო ერთად არის ჩართული და გააჩნია საერთო ეკონომიკური გეგმა. რასაც ანალოგი არ აქვს საქართველოში. მარტიდან დღემდე სამსახური აკეთებს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის კვლევა, კვების და განთავსების ობიექტებს აძლევს რჩევებს და რეკომენდაციებს თუ როგორ დაიცვან ყველა სტანდარტი.

აყალიბებს პარტნიორულ ურთიერთობებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან, როგორც ადგილობრივი ასევე საქართველოს მაშტაბით. მახუნცეთის პრობლემა, რომელიც ეხება გარე მოვაჭრეებს, სამსახურმა გააკეთა რამდენიმე შეხვედრა, მიაღწია მათთან შეთანხმება, რომ შექიმნას საერთო ზომის და ფორმის დახლი, რათა ტურისტული ლოკაცია გახდეს ევროპული სტანდარტის და იყოს მეტად მოწესრიგებული. ასევე მნიშვნელოვანია სამსახურის მდგრადობა და შემოსავლები რათა წლიდან წლამდე უფრო მეტად გახდეს დამოუკიდებელი ორგანიზაცია.

➤ დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 1 697,500 ათასი ლარი; მათ შორის:

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა და სუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში - 1 697,500 ათასი ლარი,

- შპს ქედის კომუნალურსერვისი;
- ნაგავმზიდის შეძენა;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დღე-ღამის განმავლობაში მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქუჩების განათება, რის უზრუნველსაყოფად ქვე პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული წერტილის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ ქუჩებსა და გზებზე, სადლესასწაულო დღეებში დაბაში და თემების ცენტრებში დეკორატიული განათებების მოწყობა. მუნიციპალიტეტში ერთ-ერთ მირითად საზრუნავს წარმოადგენს კეთილსამედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად ქვე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დაბისა და თემების ცენტრების ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. ქვე პროგრამის ფარგლებში, ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების, ქუჩების და სკვერების გაწმენდა თოვლის საფარისაგან. განხორციელდება დაბასა და თემებში საზოგადოებრივი სარგებლობის 13 საპირფარეშოს პერიოდული დასუფთავებისა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, ქვე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მაწანწალა ცხოველების გაუვარებელყოფით ღონისძიებები, რითაც უზრუნველყოფილ იქნება შესაბამისი საფრთხის თავიდან აცილება. მუნიციპალიტეტის სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა, მაწანწალა ცხოველების სპეციალურ თავშესაფარში გადაყვანა.

➤ განათლება - 2 907,000 ათასი ლარი, მათ შორის:

✓ სკოლამდელი აღზრდა და განათლება - 2 887,000 ათასი ლარი;

✓ ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ სტუდენტთა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსან მოსწავლეთა ხელშეწყობის პროგრამა;

➤ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 3 303,100 ათასი ლარი, მათ შორის:

✓ სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 1 113,9 ათასი ლარი;

სპორტული ღონისძიებების დაფინანსების მთავარ მიმართულებას წარმოადგენს სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია. პროგრამა ემსახურება სპორტული ღონისძიებების დაგეგმვასა და ორგანიზებას, სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაციას, სპორტსმენთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობას, მონაწილეობას, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთ დაგეგმილ ტურნირებში. ადგილობრივ სპორტსმენთა ჩართულობის ზრდას, პერსპექტიული ახალგაზრდების გამოვლენას, გამარჯვებულ სპორტსმენთა დაჯილდოვებას.

ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩატანა სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება. ქედის სპორტსმენების/მწვრთნელების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა-წახალისება. შექმნილია თანაბარი პირობები გოგოებისა და ბიჭებისათვის.

✓ კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 2 189,200 ათასი ლარი,

